განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# საექთნო განათლების პროგრამის სწავლების თემატური ანალიზი

# განხორციელების გამოწვევები, რეკომენდაციები

ნია გუგუნავა - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თბილისი
2025

# საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია

## დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წელს

საქართველოს მთავრობის დადგენილება *№334, 2019* წლის *16* ივლისი

# სტრატეგიის ძირითადი ფასეულობები, პრინციპები

**01** უნივერსალური ჯანდაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საექთნო ადამიანური რესურსის სფეროში მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის გატარება

**02** კვალიფიციური და მოტივირებული საექთნო პერსონალით საქართველოს მოსახლეობის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

**03** საუკეთესო კლინიკური გამოსავლების მისაღწევად ეფექტური და მაღალი ხარისხის განათლების (დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარება) მიწოდება

# სტრატეგიის ძირითადი ფასეულობები, პრინციპები

**04** ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოში მიღებული განათლების აღიარება

**05** საექთნო ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება

# საქართველოში ექთანი - ექიმის თანაფარდობა

2024 წლის მონაცემებით, საქართველოში 21,300 ექთანი და 24,100 ექიმია

თანაფარდობა ექთანი-ექიმი - 0,8

# საექთნო განათლების განმახორციელებლები

საქართველოში საექთნო განათლება ხორციელდება როგორც უმაღლესი აკადემიური, ასევე პროფესიული განათლების დონეზე

**2025** წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარის მიხედვით, საექთნო საბაკალავრო პროგრამაზე მიღება გამოაცხადა ოთხმა უმაღლესმა სასწავლებელმა, ადგილების საერთო რაოდენობაა 67

საექთნო პროფესიულ პროგრამას ახორციელებს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი 29 დაწესებულება, ადგილების საერთო რაოდენობაა 3847

# ექთნებზე მოთხოვნა

- სამედიცინო სერვისების შევსება ძირითადად ხდება პროფესიული განათლების ექთნებით, რომელთა რაოდენობა არ არის საკმარისი სამედიცინო სერვისების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2024 წელს განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, სპეციალისტ ექთნებზე მოთხოვნა 21% შეადგენს, რამდენადაც, სხვადასხვა სერვისების ფარგლებში ექთანი-პაციენტი შეფარდების სტანდარტი  არ მოქმედებს, რაც, ბუნებრივია, აისახება საექთნო საკადრო რესურსის მოთხოვნაზეც

# ცენტრმა განახორციელა საექთნო პროფესიული პროგრამების განხორციელების თემატური მონიტორინგი

## საფუძველი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა

## მიზანი

პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების არსებული მექანიზმის შეფასება და ანალიზი

# დოკუმენტები წარმოდგენილ იქნა 28 საგანმანათლებლო დაწესებულებიდან

დაწესებულებებში ხორციელდება საექთნო განათლების უმაღლესი პროფესიული პროგრამა, რომლის შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი დამტკიცებულია 2019 წელს

პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი, აქედან, 90 კრედიტი ეთმობა კლინიკურ მოდულებს

# დაწესებულებებიდან გამოთხოვილი დოკუმენტები

- საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი ან ამონარიდი შიდა რეგულაციიდან
- საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი (თეორიული ან/და პრაქტიკული ნაწილები);

# დოკუმენტების შეფასების კრიტერიუმები

- დაწესებულებას საექთნო საქმის/საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან
- საექთნო საქმის/საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჩატარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა
- საექთნო საქმის/საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდისთვის შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის შეფასების კომპონენტებს
- საექთნო საქმის/საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდისთვის შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტებს

# ძირითადი მიგნებები

**01** განმახორციელებელ დაწესებულებებს შემუშავებული აქვთ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების რეგულაცია

**02** უმეტეს შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურები და ეტაპები, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული კომპონენტების შესაფასებლად, სრულყოფილად არის გაწერილი

**03** რეგულაციაში დაწესებულებები მიუთითებენ გარე შემფასებლის ჩართულობაზე საგამოცდო პროცესის ობიექტურად ჩატარების მიზნით

# ძირითადი მიგნებები

**04** იკვეთება რამდენიმე დაწესებულება, სადაც დასაზუსტებელია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები, კერძოდ, არ ჩანს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასების სპეციფიკა

**05** უმეტეს შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურები და ეტაპები, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული კომპონენტების შესაფასებლად, სრულყოფილად არის გაწერილი

**06** იკვეთება რამდენიმე დაწესებულება, რომელთა რეგულაციებში არ ჩანს "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) მოთხოვნა, რომ საკვალიფიკაციო გამოცდა უნდა უზრუნველყოფდეს როგორც ცოდნის, ისე უნარების ან/და კომპეტენციების ჰოლისტურ შეფასებას

# ძირითადი მიგნებები

**07** საკვალიფიკაციო გამოცდის როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ნაწილი რიგ დაწესებულებებში ტარდება სიმულაციურ გარემოში, მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, თუმცა არის დაწესებულებები, რომელთაც პარტნიორი კლინიკები უთმობენ საგამოცდო გარემოს

**08** რიგ შემთხვევებში, პროგრამის თეორიული კომპონენტისთვის შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებში, საგამოცდო საკითხები არის მწირი და ვერ იძლევა თეორიული ცოდნის ჰოლისტური შეფასების საშუალებას

**09** საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, უმეტეს შემთხვევაში,საკვალიფიკაციო გამოცდისთვის შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები რელევანტურია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან, თუმცა, რიგ შემთხვევებში, მეთოდოლოგიურად გაუმართავია, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება, პრაქტიკული უნარების სწორად შეფასება

# რეკომენდაციები

დაწესებულებების მიერ შემუშავებული, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მარეგულირებელი დოკუმენტი სრულ თანხვედრაში უნდა მოდიოდეს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N416 დადგენილების მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნებთან (საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება)

რეგულაცია თანხვედრაში უნდა იყოს "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, დაადასტუროს პროგრამის ფარგლებში არსებული როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მოდულები, აითვისოს პროგრამით გათვალისწინებული კლინიკური სწავლების კომპონენტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა

სასურველია, ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით გაფართოვდეს კლინიკების ჩართულობა სასწავლო პროცესში

# შეფასების ინსტრუმენტთან დაკავშირებული რეკომენდაციები

სასურველია, საკვალიფიკაციო გამოცდისთვის შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი მოიცავდეს როგორც პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის შეფასების, ასევე პროგრამის ფარგლებში შეძენილი პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტებსაც

სასურველია, შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებში, სადაც მოცემულია პრაქტიკული უნარების შესაფასებელი დავალებები, დეტალურად იქნას გაწერილი „ჩექლისტი“, შეფასების პროცესის მეტი ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის

სასურველია, პროგრამის თეორიული კომპონენტისთვის შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებში, საგამოცდო საკითხები იყოს უფრო მეტი რაოდენობით წარმოდგენილი, რათა მოხდეს პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის შემოწმება

# შეფასების ინსტრუმენტთან დაკავშირებული რეკომენდაციები

სასურველია, პრაქტიკული უნარების შესაფასებელი შეფასების ინსტრუმენტის „ჩექლისტები“ თანხვედრაში მოვიდეს შეფასების ინსტრუმენტში გაწერილ დავალების შინაარსთან. კერძოდ, კრიტერიუმები გაიწეროს იმგვარად, რომ შეფასდეს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარები და არა თეორიული ცოდნა

სასურველია, პრაქტიკული დავალებების შეფასების ინსტრუმენტს თან ახლდეს თავფურცელი, სადაც გაწერილი იქნება დეტალები, გამოცდის ჩატარების სპეციფიკის შესახებ (გამოცდის ხანგრძლივობა, შეფასების მიმართულება, შეფასების მტკიცებულება, შეფასების გარემოს აღწერა, შეფასებისთვის საჭირო რესურსი, სწავლის შედეგების დადასტურების პირობები და სხვა).

# საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

სასურველია, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაში მონაწილეობას იღებდეს ექთნის პოზიციაზე დასაქმებული პირი

სასურველია, საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ჩატარდეს პარტნიორი ორგანიზაციის რეალურ სამუშაო გარემოში

# მიმდინარე პროცესები

საქართველოს მთავრობის დადგენილება №416

მუხლი მე-*6*, პუნქტი მე-*12*

**საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი.**

საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგადი წესი და პირობების შემუშავების პროცესშია

# მადლობა ყურადღებისთვის

**Email**

n.gugunava@eqe.ge